დანართი №1

2014 წლის 03 სექტემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ სტ. საპრ.№3-14 (CMR 140141453) ხელშეკრულებაზე

17 10 2014წ.

თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის **ვაჟა ფანჩულიძის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ **და შპს საპროექტო – საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ტალი ტალიაშვილის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკისა და ადმინისტრირების სამმართველოების 2014 წლის 16 ოქტომბრის №6610-2 მოხსენებითი ბარათის და ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა – სტეფანწმინდა – ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.134 - კმ.135 მონაკვეთზე (დარიალის ხეობა) განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო დროებითი ღონისძიებებისთვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 03 სექტემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტ.საპრ.№3-14 ხელშეკრულების მე–2 მუხლის 2.1 პუნქტში, სადაც მითითებულია ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით შეადგენს 49 091.71 (ორმოცდაცხრა ათას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 71 თეთრი) ლარს”.

2. ზემოხსენებული ცვლილება იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტ.საპრ.№3-14 ხელშეკრულების ღირებულება.

3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარე
ვაჟა ფანჩულიძე

მიმწოდებელი
შპს საპროექტო – საკვლევაძიებო
ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“
დირექტორი
ტალი ტალიაშვილი